

ხელშეკრულება № 1 - 2/12
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

17 იანვარი

2014წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ლევან ძნელაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „თბილი სახლი“, მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ #9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბიუჯეტო სახსრებიდან, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, შენობის მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურებების (CPV 50700000) ფარგლებში მომსახურების გაწევა.

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, ტექნიკური მომსახურების გაწევა დანართი #1-ის მიხედვით.
- 2.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მთლიანი ღირებულება დანართი #2-ის (ხარჯთაღრიცხვა) მიხედვით შეადგენს 12628.18 (თორმეტი ათას ექვსასოცდარვა ლარი და 18 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- 2.3. წინამდებარე ხელშეკრულებით ანაზღაურებას ექვემდებარება 2014 წლის 1 იანვრიდან მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება.

3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

- 3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდების ვადა: 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
- 3.2. მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #3 და #11.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. შემოწმებით თუ გაწეული მომსახურება აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერებით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.
- 4.2. მომსახურება ჩაითვლება სრულად შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

- 5.1. მომსახურების შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ანგარიშის (ფორმა #2) და ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

- 6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- 6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
 - 6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
 - 6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ.
- 6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- 6.2.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;
 - 6.2.2. გაწეული მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;
 - 6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.
- 6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:



- 6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- 6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
- 6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- 6.4.1. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
- 6.4.2. გასწიოს საკუთარი ხარჯებით დანართი #1-ით განსაზღვრული ტექნიკური მომსახურება.
- 6.4.3. გაწეული მომსახურების ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;
- 6.4.4. წინასწარ აცნობოს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;
- 6.4.5. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას
- 7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს მომსახურების უხარისხოდ ან არაჯეროვნად გაწევის გამო.
- 7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 01/% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
- 7.3. პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.
- 7.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ვალდებულებისაგან.
- 7.5. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის გასაწევი მომსახურების ღირებულების 10 %-ს შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
- 8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს შესაბამისი წესის შესაბამისად.
- 8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 8.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ნუგზარ მიქაძე - ტექნიკური სამსახურის უფროსი და მიხეილ ჭუმბურიძე - ტექნიკური სამსახურის მენეჯერი.

9. ფორს-მაჟორი

- 9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
- 9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.
- 9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა



- 10.1. არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 11.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 11.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. შეწყვეტის შესახებ მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ 30 დღით ადრე.
- 11.4. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

12. დავების გადაწყვეტის წესი

- 12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.
- 12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

13. დასკვნითი დებულებანი

- 13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 13.3. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.
- 13.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“
 საიდენტიფიკაციო კოდი: 204468664
 იურიდ. მის: თბილისი, რუსთაველის გამზ.#3.
 ფაქტ/მის: თბილისი, რუსთაველის გამზ.#3.
 ტელეფონის ნომერი: 298 21 35.
 სახელმწიფო ხაზინა
 კოდი: TRESGE22
 ა/ა GE24NB0330100200165022

„მიმწოდებელი“

შპს „თბილი სახლი“
 მის. იურიდ/ფაქტ: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 20/კოსტავას ქ.#76.
 ტელ: 2311535/25, 577 29 29 55.
 საიდენტი: 204976179
 სს“საქართველოს ბანკი“
 კოდი: BAGAGE22
 ა/ა GE19 BG 0000 0001 7557 9101

ლევან ძნელაძე
 გენერალური დირექტორის მოადგილე



მალბაზ კურტანიძე
 დირექტორი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ლიფტების, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეაში გათბობის, ვენტილაცია-კონდიციონირების, ხანძარქრობის სისტემების, ლიფტების, ელექტროობის, წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემის მომსახურება:

გათბობის სისტემის მომსახურება:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა (მის: რუსთაველის გამზ. #11)

№	დანადგარების დასახელება	ბანზ.	რაოდ.
	თბომომარაგების სისტემა.		
	ა) ქვაბი გათბობისა და სავენტილაციო სისტემებისათვის		
1	ბუნებრივ აირზე და თხევად საწვავზე მომუშავე წყალგამთბობი ქვაბი, მართვის პანელით და სრული ავტომატიკით Q=516000kcal/h, (N=600kw) სიმძლავრის და DT=80-60oC , ტემპერატურული რეჟიმით გათბობისა და მოდინებითი სავენტილაციო დანადგარებისათვის	კომპლექტი	1
2	Q516000kcal/h, (N=600kw) სიმძლავრის ბუნებრივ აირის dP=20mbar დაბალ წნევაზე მომუშავე სანთურა.		1
3	Q=5160800kcal/h, (N=600Kw) სიმძლავრის თხევად საწვავზე მომუშავე სანთურა.		1
4	ბუნებრივ აირზე და თხევად საწვავზე მომუშავე წყალგამთბობი ქვაბი, მართვის პანელით და სრული ავტომატიკით Q=103200kcal/h, (N=120kw) სიმძლავრის და DT=80-60oC , ტემპერატურული რეჟიმით ცხელწყალმომარაგებისა და კონდიციონირების სისტემისათვის		1
5	Q103200kcal/h, (N=120kw) სიმძლავრის ბუნებრივ აირის dP=20mbar დაბალ წნევაზე მომუშავე სანთურა.		1
6	Q=103200kcal/h, (N=120Kw) სიმძლავრის თხევად საწვავზე მომუშავე სანთურა.		1
7	V=150 l ტევადობის მოცულობითი წყალგამაცხელებელი d=150მმ დიამეტრი და 2350მმ სიმაღლის		1
8	მოდინებითი სავენტილაციო სისტემის ძირითადი საცირკულაციო ტუმბო L=16,9 m3/h წარმადობის და H=100 Kpa წნევის		1
9	ფანკოილებით გათბობის სისტემის ძირითადი საცირკულაციო ტუმბო L=1,1 m3/h წარმადობის და H=100 Kpa წნევის		1
10	V=150 l ტევადობის მოცულობითი წყალგამაცხელებელი d=150მმ დიამეტრი და 2350მმ სიმაღლის		ცალი
11	მოდინებითი სავენტილაციო სისტემის ძირითადი საცირკულაციო ტუმბო L=16,9 m3/h წარმადობის და H=100 Kpa წნევის	ცალი	1
12	ფანკოილებით გათბობის სისტემის ძირითადი საცირკულაციო ტუმბო L=1,1 m3/h წარმადობის და H=100 Kpa წნევის	ცალი	1
13	რადიატორებით გათბობის სისტემის ძირითადი საცირკულაციო ტუმბო L=1,1 m3/h წარმადობის და H=70 Kpa წნევის	ცალი	1
14	კონდიციონირების სისტემის ძირითადი საცირკულაციო ტუმბო L=3,2 m3/h წარმადობის და H=100 Kpa წნევის	ცალი	1
15	ცხელი წყლის ძირითადი საცირკულაციო ტუმბო L=1,7 m3/h წარმადობის და H=100 Kpa წნევის	ცალი	1
16	ცხელი წყლის საცირკულაციო ტუმბო L=0,6m3/h წარმადობის და	ცალი	1



	H=120 Kpa წნევის		
	ბ).საწვავით მომარაგების სისტემა.		
17	მეტალის რეზერვუარი თხევადი საწვავისათვის V=583 ტევადობის ზომებით 2,0m*2,0mm*1,25m(h)		1
	გ) გათბობა		
18	ფოლადის 22RKKR ტიპის რადიატორი 300*600(h) ზომებით	ბრძ.მ	2
19	ფოლადის 22RKKR ტიპის რადიატორი 400*600(h) ზომებით	"	1
20	ფოლადის 22RKKR ტიპის რადიატორი 800*600(h) ზომებით	"	1
21	ფოლადის 22RKKR ტიპის რადიატორი 1000*600(h) ზომებით	"	4
22	ფოლადის 22RKKR ტიპის რადიატორი 1100*600(h) ზომებით	"	4
23	ფოლადის 22RKKR ტიპის რადიატორი 1300*600(h) ზომებით	"	3
24	ფოლადის 22RKKR ტიპის რადიატორი 1500*600(h) ზომებით	"	1
25	Q=0,5kw სიმძლავრის პირსახოცის საშრობი	ცალი	2

შესასრულებელი მომსახურების ჩამონათვალი:


- საცირკულაციო ტუმბოების ყოველდღიური კონტროლი
- საქვებში შემაჯავი გაზის წნევის და გაზის გაუნვის კონტროლი, ყოველდღიური რეგულირება
- წყლის ტემპერატურის ყოველდღიური კონტროლი
- წყლის წნევის ყოველდღიური კონტროლი
- გათბობის სისტემიდან ჰაერის გამოდენის კონტროლი
- ქვებისა და საკვამლე მილის გაწმენდა წელიწადში ერთხელ
- სანთურებისა და ფილტრების გაწმენდა წელიწადში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში გამოცვლა

ვენტილაცია-კონდიციონირება

№	დანადგარების დასახელება	ზომა, მმ	საზომი ერთეული	რაოდენობა
1	2		3	4
	სითბო-სიცივით მომარაგების სისტემა.			
1	Q=387000 კკალ/სთ (N=450w) სიმძლავრის მაცივარ მანქანა (ჩილერი), ეკოლოგიურად სუფთა სამაცივრო აგენტზე. სრული ავტომატიკით, t (გარე ჰაერის)=38oC საანგარიშო პარამეტრზე მომუშავე კონდესატორით, DT=7-12oC ცივი წყლის მომამზადებელი ამპორთქლებლით და ჰიდრო მოდულით.		კომპლ.	1
2	სიცივით მომარაგების სისტემისათვის საცირკულაციო ტუმბო G=90m3/h წარმადობის, h=30.მ.წ.აწევის.		კომპლ	2
3	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=2,3kw, Qx=4,5kw		ცალი	3
4	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=2,0kw, Qx=3,2kw		"	3
5	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=1,5kw, Qx=4,0kw		"	2
6	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=1,4kw, Qx=3,5kw		"	3
7	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=1,3kw, Qx=4,2kw		"	3
8	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=0,9kw, Qx=0,9kw		"	2
9	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=0,5kw, Qx=0,6kw		"	1
10	ჭერის კასეტური ფენკოილი Qx=0,6kw, Qx=0,8kw		"	2
11	სპლიტ კონდიციონერი სიმძლავრით N=3,5kw		კომპლ	2
12	სპლიტ კონდიციონერი სიმძლავრით N=3,2kw		"	2



საენტილაციო სისტემები				
კონდიციონერების მოდინებითი-რევირკულაციური სისტემა №1				
13	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=12000m3/h წარმადობის და H=400Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
14	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული მოდინებითი ვენტილატორი L=12000m3/h წარმადობის და DH=400Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
15	ზედაპირული გამაცივებელი N=65kw, DT=7-12°C, t= 38°C, t= 22°C		ცალი.	1
16	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი N=57 kw, DT=75-55°C, t1= -8 °C, t2=22 °C.		ცალი.	1
17	ორთქლის გენერატორი G=14,7 kg/h წარმადობის.		ცალი.	1
18	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული გამწოვი ვენტილატორი L=12000m3/h წარმადობის და DH=400Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
კონდიციონერების მოდინებითი-რევირკულაციური სისტემა №2				
19	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=12000m3/h წარმადობის და H=400Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
20	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული მოდინებითი ვენტილატორი L=12000m3/h წარმადობის და DH=400Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
21	ზედაპირული გამაცივებელი N=65kw, DT=7-12°C, t= 38°C, t= 22°C		ცალი.	1
22	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი N=57 kw, DT=75-55°C, t1= -8 °C, t2=22 °C.		ცალი.	1
23	ორთქლის გენერატორი G=14,7 kg/h წარმადობის.		ცალი.	1
24	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული გამწოვი ვენტილატორი L=12000m3/h წარმადობის და DH=400Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
კონდიციონერების მოდინებითი-რევირკულაციური სისტემა №3				
25	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=6400m3/h წარმადობის და H=350Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
26	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული მოდინებითი ვენტილატორი L=6400m3/h წარმადობის და DH=350Pa თავისუფალი წნევის.			1
27	ორთქლის გენერატორი G=20,5 kg/h წარმადობის.			1
28	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული გამწოვი ვენტილატორი L=6400m3/h წარმადობის და DH=350Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
კონდიციონერების მოდინებითი-რევირკულაციური სისტემა №4				
29	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=6400m3/h წარმადობის და H=350Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
30	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული მოდინებითი ვენტილატორი L=6400m3/h წარმადობის და DH=350Pa თავისუფალი წნევის.			1
31	ზედაპირული გამაცივებელი N=35kw, DT=7-12°C, t= 38°C, t= 22°C			1
32	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი N=23 kw, DT=75-55°C, t1= -8 °C, t2=22 °C.			1
33	ორთქლის გენერატორი G=20,5 kg/h წარმადობის.			1
34	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული გამწოვი ვენტილატორი L=6400m3/h წარმადობის და DH=350Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
35	ხმაურდამხშობი 750*450 განივკვეთის ჰაერსატარზე.	L2მ.	ცალი.	2
36	ხმაურდამხშობი 500*500 განივკვეთის ჰაერსატარზე.	L2მ.	ცალი.	1



37	ავტომატური კლაპანი 500*500 განივკვეთის ჰაერსატარზე.		ცალი.	1
38	სავენტილაციო მოდინებითი რეგულირებადი დეკორატიული ჭერის გისოსები DDS(600*300)		ცალი.	5
39	სავენტილაციო გამწოვი რეგულირებადი დეკორატიული ჭერის გისოსები DDS(400*250)		ცალი.	6
40	სავენტილაციო გამწოვი რეგულირებადი დეკორატიული გისოსები DDS(400*250)		ცალი.	2
41	მეტალის პარმიმღები გისოსი F= 0,25m2		ცალი.	1
42	მეტალის ჰაერგამტყორცნი გისოსი F=0,15m2		ცალი.	1
43	ჰაერის მარეგულირებელი შიბერი.	500x500	ცალი.	2
44	d=0.65mm სისქის ფოლადის მოთუთიებული ჰაერსატარი		მ2	252
45	ჰაერსატარის შემოსვა იზოლაციით d=15mm		მ2	252
კონდიციონერების მოდინებითი-რეცირკულაციური სისტემა №5				
46	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=5900m3/h წარმადობის და H=350Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
47	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენდრიდანული მოდინებითი ვენტილატორი L=5900m3/h წარმადობის და DH=350Pa თავისუფალი წნევის.			1
48	ზედაპირული გამაცივებელი N=36kw, DT=7-12°C, t= 38°C, t= 22°C			1
49	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი N=28 kw, DT=75-55°C, t1= -8 °C, t2=22 °C.			1
50	ორთქლის გენერატორი G=15,5 kg/h წარმადობის.			1
51	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენდრიდანული გამწოვი ვენტილატორი L=5900m3/h წარმადობის და DH=350Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
კონდიციონერების მოდინებითი-რეცირკულაციური სისტემა №6				
52	არადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=4400m3/h წარმადობის და H=300Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
53	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენდრიდანული მოდინებითი ვენტილატორი L=4400m3/h წარმადობის და DH=300Pa თავისუფალი წნევის.			1
54	ზედაპირული გამაცივებელი N=26kw, DT=7-12°C, t= 38°C, t= 22°C			1
55	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი N=28 kw, DT=75-55°C, t1= -8 °C, t2=22 °C.			1
56	ორთქლის გენერატორი G=18,2 kg/h წარმადობის.			1
კონდიციონერების მოდინებითი-რეცირკულაციური სისტემა №7				
57	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=4200m3/h წარმადობის და H=300Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
58	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენდრიდანული მოდინებითი ვენტილატორი L=4200m3/h წარმადობის და DH=300Pa თავისუფალი წნევის.			1
59	ზედაპირული გამაცივებელი N=25kw, DT=7-12°C, t= 38°C, t= 22°C			1
60	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი N=15 kw, DT=75-55°C, t1= -8 °C, t2=22 °C.			1
61	ორთქლის გენერატორი G=16,6 kg/h წარმადობის.			1
62	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენდრიდანული გამწოვი ვენტილატორი L=4200m3/h წარმადობის და DH=300Pa თავისუფალი წნევის.		ცალი.	1
კონდიციონერების მოდინებითი-რეცირკულაციური სისტემა №8				
63	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი L=2800m3/h წარმადობის და H=300Pa თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:		კომპლ.	1
64	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენდრიდანული მოდინებითი		ცალი.	1



	ვენტილატორი $L=2800\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=300\text{Pa}$ თავისუფალი წნევის.		
65	ზედაპირული გამაცივებელი $N=19\text{kw}$, $DT=7-12^\circ\text{C}$, $t=38^\circ\text{C}$, $t=22^\circ\text{C}$	ცალი.	1
66	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი $N=15\text{ kw}$, $DT=75-55^\circ\text{C}$, $t_1=-8^\circ\text{C}$, $t_2=22^\circ\text{C}$.	ცალი.	1
67	ორთქლის გენერატორი $G=15,5\text{ kg/h}$ წარმადობის.		1
68	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული გამწოვი ვენტილატორი $L=2800\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=350\text{Pa}$ თავისუფალი წნევის.	ცალი.	1
	კონდიციონერების მოდინებითი სისტემა №1		
69	ცენტრალური მოდინებითი სავენტილაციო დანადგარი $L=4700\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=350\text{Pa}$ სტატიკური წნევით, აღჭურვილი ავტომატიკის კარადით მათ შორის:	კომპლ.	1
70	მიმწოდებელი ცენტრიდანული ვენტილატორი $L=4700\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=350\text{Pa}$ სტატიკური წნევის.	ცალი	1
71	ზედაპირული გამაცივებელი $N=26\text{kw}$, $DT=7-12^\circ\text{C}$.	"."	1
72	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი $N=48,2\text{ kw}$, $DT=75-60^\circ\text{C}$,	"."	1
	კონდიციონერების მოდინებითი სისტემა №3		
73	კარადული მოდელის პრეციზიური კონდიციონერი $L=2000\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $H=350\text{Pa}$ თავისუფალი წნევის, აღჭურვილი მაღალი დონის ავტომატიკით. მათ შორის:	კომპლ.	1
74	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენტრიდანული მოდინებითი ვენტილატორი $L=2000\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=350\text{Pa}$ თავისუფალი წნევის.	ცალი.	1
75	ზედაპირული გამაცივებელი $N=17\text{kw}$, $DT=7-12^\circ\text{C}$, $t=38^\circ\text{C}$, $t=22^\circ\text{C}$	ცალი.	1
76	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი $N=23\text{ kw}$, $DT=75-55^\circ\text{C}$, $t_1=-8^\circ\text{C}$, $t_2=22^\circ\text{C}$.	ცალი.	1
77	ორთქლის გენერატორი $G=4,5\text{ kg/h}$ წარმადობის.	ცალი.	1
	კონდიციონერების მოდინებითი სისტემა №4		
78	ცენტრალური მოდინებითი სავენტილაციო სისტემა $L=1200\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=250\text{Pa}$ სრული წნევისაღჭურვილი ავტომატიკის კარადით მათ შორის:	კომ	1
79	მიმწოდებელი ცენტრიდანული ვენტილატორი $L=1200\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=250\text{Pa}$ სტატიკური წნევის.	ცალი	1
80	ზედაპირული გამაცივებელი $N=6\text{kw}$, $DT=7-12^\circ\text{C}$.	"."	1
81	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი $N=12\text{ kw}$, $DT=75-55^\circ\text{C}$.	"."	1
	მოდინებითი სისტემა №1		
82	ცენტრალური მოდინებითი სავენტილაციო სისტემა $L=1700\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=300\text{Pa}$ სრული წნევისაღჭურვილი ავტომატიკის კარადით მათ შორის:	კომპლ	1
83	მიმწოდებელი ცენტრიდანული ვენტილატორი $L=1700\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=300\text{Pa}$ სტატიკური წნევის.	ცალი	1
84	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი $N=17,2\text{ kw}$, $DT=75-55^\circ\text{C}$.	"."	1
	მოდინებითი სისტემა №2		
85	ცენტრალური მოდინებითი სავენტილაციო სისტემა $L=900\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=250\text{Pa}$ სრული წნევის აღჭურვილი ავტომატიკის კარადით მათ შორის:	კომპლ	1
86	მიმწოდებელი ცენტრიდანული ვენტილატორი $L=600\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=200\text{Pa}$ სტატიკური წნევის.	ცალი	1
87	ჰაერის გამათბობელი კალორიფერი $N=10\text{ kw}$, $DT=75-55^\circ\text{C}$.	"."	1
	გამწოვი სისტემა №1		
88	გამწოვი ცენტრიდანული ვენტილატორი $L=3100\text{m}^3/\text{h}$ წარმადობის და $DH=300\text{Pa}$ სტატიკური წნევის.	ცალი	1
	გამწოვი სისტემა №2		



89	გამწოვი ცენდრიდანული ვენტილატორი L=3000m3/h წარმადობის და DH=350Pa სტატიკური წნევის. გამწოვი სისტემა №3	ცალი	1
90	ცვლადი ბრუნთა რიცხვის მქონე ცენდრიდანული გამწოვი ვენტილატორი L=2000m3/h წარმადობის და DH=350Pa თავისუფალი წნევის. გამწოვი სისტემა №4	ცალი	1
91	სახურავის ვენტილატორი L=1600 m3/h წარმადობის და DH=250Pa თავისუფალი წნევის. აღჭურვილი სიჩქარის რეგულატორით, ხმაურ დამხშობით და სახურავზე მოსაწყობი სპეციალური სადგამით. გამწოვი სისტემა №5	ცალი	1
92	სახურავის ვენტილატორი L=1500 m3/h წარმადობის და DH=250Pa თავისუფალი წნევის. აღჭურვილი სიჩქარის რეგულატორით, ხმაურ დამხშობით და სახურავზე მოსაწყობი სპეციალური სადგამით. გამწოვი სისტემა №6	ცალი	1
93	გამწოვი ცენდრიდანული ვენტილატორი L=1000m3/h წარმადობის და DH=250Pa სტატიკური წნევის. გამწოვი სისტემა №7	ცალი	1
94	სახურავის ვენტილატორი L=600 m3/h წარმადობის და DH=200Pa თავისუფალი წნევის. აღჭურვილი სიჩქარის რეგულატორით, ხმაურ დამხშობით და სახურავზე მოსაწყობი სპეციალური სადგამით. გამწოვი სისტემა №8	ცალი	1
95	სახურავის ვენტილატორი L=500 m3/h წარმადობის და DH=200Pa თავისუფალი წნევის. აღჭურვილი სიჩქარის რეგულატორით, ხმაურ დამხშობით და სახურავზე მოსაწყობი სპეციალური სადგამით. გამწოვი სისტემა №9	ცალი	1
96	სახურავის ვენტილატორი L=500 m3/h წარმადობის და DH=200Pa თავისუფალი წნევის. აღჭურვილი სიჩქარის რეგულატორით, ხმაურ დამხშობით და სახურავზე მოსაწყობი სპეციალური სადგამით. გამწოვი სისტემა №10	ცალი	1
97	სახურავის ვენტილატორი L=400 m3/h წარმადობის და DH=200Pa თავისუფალი წნევის. აღჭურვილი სიჩქარის რეგულატორით, ხმაურ დამხშობით და სახურავზე მოსაწყობი სპეციალური სადგამით. გამწოვი სისტემა №11	ცალი	1
98	სახურავის ვენტილატორი L=200 m3/h წარმადობის და DH=150Pa თავისუფალი წნევის. აღჭურვილი სიჩქარის რეგულატორით, ხმაურ დამხშობით და სახურავზე მოსაწყობი სპეციალური სადგამით. გამწოვი სისტემა №12	ცალი	1
99	გამწოვი არხული ვენტილატორი L=100m3/h წარმადობის და DH=100Pa სტატიკური წნევის. გამწოვი სისტემა №13	ცალი	1
100	გამწოვი არხული ვენტილატორი L=100m3/h წარმადობის და DH=100Pa სტატიკური წნევის.	ცალი	1

შესასრულებელი მომსახურების ჩამონათვალი:

- ტემპერატურული რეჟიმის ყოველდღიური კონტროლი
- წყლის წნევის ყოველდღიური კონტროლი
- ჩილერის მართვის პულტის ყოველდღიური კონტროლი
- ფილტრების გაწმენდა წელიწადში ერთხელ
- დაზიანების შემთხვევაში სერვისის უზრუნველყოფა.
- სავენტილაციო სისტემის გამართულობის ყოველდღიური კონტროლი.

ხანძარქრობის სისტემები:

დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა

წყლით ხანძარქრობის სისტემა (ჰიდრანტი) -

ცეცხლმაქრი -

ხანძარქრობის დეტექტორები

7 ცალი

10 ცალი



- სისტემების მზადყოფნაზე ყოველდღიური ზედამხედველობა, 24-საათიანი მორიგეობა და აღჭურვილობის სერვისული მომსახურება.
- დაზიანების აღმოფხვრა გონივრულ ვადებში.

ლიფტები:

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი (მის: რუსთაველის გამზ. #3)

1. ადმინისტრაციული დანიშნულების სამგზავრო ლიფტი - 2 ცალი
 ტვირთამწეობა 500 კგ. 6 მგზავრისთვის.
 გაჩერებების რაოდენობა 7; სიჩქარე 1 მ/წმ
 ძრავა 7 კვტ

2. სამგზავრო ლიფტები KONE - 1ცალი
 ტვირთამწეობა 1000 კგ 13 მგზავრისათვის.
 სამანქანო განყოფილებით.
 გაჩერებების რაოდენობა 4; სიჩქარე 1 მ/წმ
 ძრავი 5.7 კვტ

სამგზავრო ლიფტი KONE - 1 ცალი
 ტვირთამწეობა 630 კგ 8 მგზავრისათვის.
 სამანქანო განყოფილების გარეშე(ძრავი შახტაში)
 გაჩერებების რაოდენობა 6; სიჩქარე 1 მ/წმ
 ძრავი 3.7 კვტ

დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა:

ლიფტი №1 კანონრამული

- | | |
|------------------------------|-----------------|
| ლიფტის დამამზადებელი ქარხანა | - Ametal |
| ლიფტის ამძრავის ტიპი | - ჰიდრავლიკური |
| ტვირთამწეობა | - 630 კგ. |
| მგზავრთა რაოდ. | - 8 |
| გადაადგილების სიჩქარე მ/წმ | - 0.63 |
| ლიფტის მოდელი | - ARIES 300 HYD |
| მართვის სისტემა | - ლილაკიანი |
| გაჩერებათა რიცხვი | - 3 |
| შახტის კარების ოდენობა | - 3 |

ლიფტი №2 სატვირთო სიხშირული

- | | |
|------------------------------|--|
| ლიფტის დამამზადებელი ქარხანა | - Ametal |
| ლიფტის და ჯვალამბრის ტიპი | - სატვირთო, სიხშირული, ზედა სამანქანო ოთახით |
| ტვირთამწეობა | - 2000 კგ. |
| ამძრავი | - ელექტრონული, სიხშირული |
| გადაადგილების სიჩქარე მ/წმ | - 0.65 |
| მართვის სისტემა | - ლილაკიანი |
| გაჩერებათა რიცხვი | - 3 |
| შახტის კარების ოდენობა | - 4 |
| კაბინის ტიპი | - გამჭოლი |

ლიფტი №3 სამგზავრო სიხშირული

- | | |
|------------------------------|---|
| ლიფტის დამამზადებელი ქარხანა | - Ametal |
| ლიფტის და ჯვალამბრის ტიპი | - სამგზავრო, სიხშირული |
| ამძრავი | - ელექტრონული, სიხშირული |
| ლიფტის მოდელი | - ARIES 500 VVVF, ზედა სამანქანო ოთახით |
| ტვირთამწეობა | - 480 კგ. |
| მგზავრთა რაოდენობა | - 6 |
| გადაადგილების სიჩქარე მ/წმ | - 1 |
| მართვის სისტემა | - ლილაკიანი |



გაჩერებათა რიცხვი - 4
შახტის კარების ოდენობა - 4

- შახტისა და ლიფტების ყოველკვირეული რევიზია; ძრავების მუშაობის გამართულობაზე მუდმივი კონტროლი.

ელექტრობა:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა:

სუსტი დენები, სიგნალიზაცია, ვიდეოთვალყური:
მობრუნების დეტექტორები, მსხვერვის დეტექტორები
ვიდეო-სამეთვალყურეო მონიტორი
ვიდეო-კამერები
უწყვეტი დენის წყარო (ups)
აკუმულატორი
სამუხტი

2 ცალი
30 ცალი
2 ცალი
2 ცალი
2 ცალი

- სისტემაზე ზედამხედველობა, დაზიანების აღმოფხვრა.

წყალგაყვანილობის და კანალიზაცია:

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა:

სველი წერტილი 14
შებრევი 23

- წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემის დაზიანების აღმოფხვრა შენობასა და წითელი ხაზების ფარგლებში
- სისტემის ზედამხედველობა; დაზიანების გამოსწორება

ლევან მნელაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე





საქართველო, თბილისი 0160
 ვაჟა-ფშაველას გამზ. №20
 ტელ./ფაქსი: (995 32) 311 525, 311 525
 ვებ-გვერდი: www.tbilbank.ge
 ელ-ფოსტა: casacaldia@tbilbank.com

დანართი #2,

ხარჯთაღრიცხვა

#	მომსახურე პერსონალის გასაწევი მომსახურების დასახელება	ობიექტების (მუზეუმების) რაოდენობა	მომსახურე პერსონალის რაოდენობა	სამუშაო საათები	ერთი თვის ანაზღაურება (ლარი)	სულ ჯამი (ლარი)
1	2	3	4	5	6	7
1	სერვისის მომსახურების ხელმძღვანელი	2	1	1	775,00	775,00
2	ცენტრალური დანადგარების მომსახურება (გათბობა-კონდიციონერება-ვენტილაცია, წყალმომარაგება კანალიზაციის სისტემები)	2	1	24	1460,00	1460,00
3	ცენტრალური დანადგარების მომსახურება (გათბობა-კონდიციონერება-ვენტილაცია, წყალმომარაგება კანალიზაციის სისტემები)	2	1	12	1200,00	1200,00
4	ტექნიკოსის მომსახურება (ელექტრიკოსი)	2	1	24	975,00	975,00
5	ვიდეო მეთვალყურე	2	1	საჭიროებისამებრ	1100,00	1100,00
6	ცენტრალური დანადგარების (საქვებე-საჩილერე) მომსახურება	2	2	საჭიროებისამებრ	900,00	1800,00
7	BMS სისტემის მომსახურება	2	1	საჭიროებისამებრ	900,00	900,00
8	პროგრამისტი	2	1	საჭიროებისამებრ	900,00	900,00
9	სამგზავრო ლიფტის მომსახურება	2	2	თვეში 2-ჯერ	400,00	800,00
	ჯამი:					9910,00
	მოგება 7,99%					791,85
	დღგ 18%					10701,85
	სულ ჯამი:					12628,18

სულ თანხა: 12628,18 (თორმეტი ათას ექვსასოცდაცხრა ლარი და 18 თეთრი) ლარი.

შპს "თბილისი სახლი"-ს დირექტორი:

სსიპ "საქართველოს ეროვნული მუზეუმი"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე:



მ. კურტანიძე

ლ. ძნელაძე